GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 02 Temmuz / ივლისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 274.6	-6.2%	18.5 %	9.9 %

1 Temmuz'dan İtibaren Yürürlüğe Giren Değişiklikler
ცვლილებები რომლებიც 1 ივლისიდან ამოქმედდა

Elektrik tedarik şirketleri değişti. Tiflis'te "Telasi" şirket yerinde elektrik enerji temini "Telmiko" şirket tarafından, bölgelerde ise "Energo-Pro-Georgia" şirket yerinde "EP Georgia" tarafından yapılacaktır.

ელექტრო მიმწოდებელი კომპანიები შეიცვალა. თბილისში კომპანია „თელასს“ ჩაანაცვლებს „თელმიკო“, ხოლო რეგიონებში "ენერგო-პრო-ჯორჯიას" ჩაანაცვლებს კომპანია „ეპ ჯორჯია“.

Wizz Air, Kutaisi havaalanına geri dönüyor – Havayolu şirketi direkt uçuşlarını Milano, Prag, Atina, Selanik, Larnaka ve Memmingen istikametlerde gerçekleştirecek.

Wizz Air-ის ბაზა ქუთაისის აეროპორტში ბრუნდება. ავიაკომპანია საქ ართველოდან ევროპის მიმართულებით დამატებით რეისებს მილანის, პრაღის, ათენის, სალონიკის, ლარნაკასა და მემინგენის მიმართულებით შეასრულებს.

Sosyal açıdan savunmasız çocuklara yönelik yardım iki katına çıkarıldı - Sosyal açıdan savunmasız çocuklar 50 GEL yerine 100 GEL yardım alacaklar. Başbakanın belirttiği gibi, sosyal açıdan savunmasız çocukların tanım sistemi de genişliyor. Yardımı 100 000 puan yerine, 120 000 puana sahip olan çocuklu aileler alacaktır.

სოციალურად დაუცველ ბავშვთა დახმარება გაორმაგდა – სოციალურად დაუცველი ბავშვები 50 ლარის ნაცვ ლად 100 ლარის დახმარებას მიიღებენ. პრემიერის განცხადებით, ფართოვდება სოციალურად დაუცველი ბავშვების განსაზღვრის არეალი. დახმარებას 100 000 ქულის ნაცვლად, 120 000 ქულის მქონე ბავშვიანი ოჯახები მიიღებენ.

2021 yılında basılan 5 ve 20 GEL banknotları tedavüle çıkarılacak.- 2021 yılında basılan 5 ve 20 lari lik banknotlar, eski banknotlarla beraber kulanılacak.

მიმოქცევაში გაიშვება 2021 წლის ემისიის 5 და 20 ლარის ნომინალის ბანკნოტები. 2021 წლის გამოშვების 5 და 20 ლარის ნომინალის ბანკნოტები წინა წლების გამოშვების ბანკნოტებთან ერთად დარჩება მიმოქცევაში.

Un sübvansiyon programına son erildi. Sonuç olarak, kalite standartlarına göre pişirilen bazı ekmek çeşitlerinin fiyatı 10 tetri ile yükselebilir.

ფქვილის სუბსიდირების პროგრამა დასრულდა. შედეგად შესაძლოა ხარისხიანი სტანდარტებით გამომცხვარი პურის რიგი სახეობები 10 თეთრის ფარგლებში გაძვირდეს.

Kişisel koruyucu ekipman, makine ve oyuncakların piyasaya çıkarılması ithalat bildirimi yapılmadan yasaklandı.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, მანქანა-დანადგარის და სათამაშოების განთავსება ბაზარზე, იმპორტის წინასწარი შეტყობინების გარეშე იკრძალება.

Sokağa çıkma yasağı kaldırıldı. Ülkede hareketi kısıtlayan kısıtlamalar 1 Temmuz tarihinden itibaren kaldırılmıştır.

კომენდანტის საათი მოიხსნა. ქვეყანაში გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა 1-ლი ივლისიდან მოიხსნა.

Gürcistan'da Enflasyon

ინფლაცია საქართველოში

Haziran 2021'de bir önceki aya göre Gürcistan'da enflasyon %0.7 yıllık enflasyon oranı ise %9.9 olarak teşkil etmiştir.

2021 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.7%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 9.9 პროცენტი შეადგინა.

Yıllık enflasyon oluşumunun temel neden aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

1. Gıda ve Alkolsüz İçecekler / სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 2.78% ⬆
   - Sebze / ბოსტნეული - 16.6% ⬆
   - Şeker ve diğer tatlılar / შაქარი და სხვა ტკბილეული - 13.7% ⬆
   - Balık / თევზეული - 11.1% ⬆
   - Süt, peynir ve yumurta / რძე, ყველი და კვერცხი - 10.6% ⬆
   - Alkolsüz içecekler / უალკოჰოლო სასმელები - 7.3% ⬆
   - Kahve, çay ve kakao / ყავა, ჩაი და კაკაო - 7.2% ⬆
   - Ekmek ve ekmek ürünleri / პური და პურპროდუქტები - 5.5% ⬆

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბეღლავი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

- Et ve et ürünleri / ხორცი და ხორცის პროდუქტები - 5.3%
- Yağlar / ზეთი და ცხიმი - 47.1%
- Meyve ve üzüm / ხილი და ყურძენი - 19.5%

2. Ulaşım / ტრანსპორტი - 22.0%
3. İçme su, elektrik ve gaz / წყალი, ელ. ენერგია, აირი - 10.5%



Breadfield – Gürcistan'da Uluslararası Standart Ekmek Ürünleri Fabrikası Açıldı
ბრედფილდი საერთაშორისო სტანდარტების პურ-ფუნთუშეული საწარმო საქართველოში

29 Haziran'da Gürcistan'da Breadfield marka altında uluslararası standartlara sahip fırın işletmesi açıldı. İşletmenin açılış töreninde de belirtildiği gibi Bradfield, yerel ve bölgesel pazarlardaki müşterilere çeşitli ekmek ürünleri teklif edecek.

Fabrikada yapılmış yatırımın hacmi 26 milyon Laridir. İşletmenin tam ölçekli faaliyete geçmesinin ardından yerinde 100 kişi istihdam edilecek. Fabrikada üretilen ürünler 2022'den itibaren komşu ülkelere ihraç edilecek. İşletmenin başlangıç aşamasındaki ana ürünü McDonald's için üretilecek hamburger ekmeğidir.

29 ივნისს საქართველოში პირველი საერთაშორისო სტანდარტების პურ-ფუნთუშეულის საწარმო — ბრედფილდი გაიხსნა. როგორც საწარმოს გახსნის ღონისძიებაზე აღინიშნა,

„ბრედფილდი“ მომხმარებლებს მრავალფეროვან ასორტიმენტს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე შესთავაზებს.

საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 26 მილიონ ლარს შეადგენს. საწარმოს სრული მასშტაბით ამუშავების შემდეგ ადგილზე 100 ადამიანი დასაქმდება. 2022 წლიდან კი მისი წარმოებული პროდუქცია ექსპორტზე მეზობელ ქვეყნებში გავა. საწყისი ეტაპისთვის საწარმოს ძირითადი პროდუქტი მაკდონალდსისთვის განკუთვნილი ბურგერების პურია.

Covid – 19

Bu hafta Gürcistan'da korona virüs vaka sayısında hafif bir artış var. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 5839'e ulaştı (ortalama: 834 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 368 022'e ulaştı. Can Kaybı – 5335, iyileşenlerin sayısı – 353 231, aktif vaka ise – 9456. Halihazırda hastanelerde 2771, otellerde ise 620 kişi tedavi görüyor, 118 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %3.42'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %2.74'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %3.09'e eşittir.

Gürcistan'da aşı toplam 266 161 kişiye yapıldı.

Sokağa çıkma yasağı 1 Temmuz tarihinden itibaren kaldırıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 183 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 183 515 238; Can Kaybı – 3 973 420; İyileşen kişi sayısı – 167 999 793. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Fransa ve Rusya'da görülmüştür.

ამ კვირაში საქართველოში კორონავირუსის შემთხვევების უმნიშვნელო ზრდაა აღინიშნება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 5839-ს უტოლდება (834 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 368 022 შეადგინა, გარდაიცვალა 5335, გამოჯანმრთელდა 353 231, ხოლო 9456 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 2771 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 620 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 118

ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 3.42%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 2.74%, ხოლო 7 დღის 3.09%.

საქართველოში ჯამურად აცრა 266 161 ადამიანს ჩაუტარდა.

1 ივლისიდან საქართველოში გაუქმდა გადაადგილების შეზღუდვა.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 183 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 183 515 238 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 3 973 420, ხოლო გამოჯანმრთელდა 167 999 793 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, საფრანგეთსა და რუსეთს ჰყავს.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.1619 TRY/GEL – 0.3638 EUR/GEL – 3.7484 GBP/GEL – 4.3555

USD/GEL

25 - 02 Temmuz 2021

USD/TRY

25 - 02 Temmuz 2021

TRY/GEL

25 - 02 Temmuz 2021

BTC – 33 079.01

25 - 02 Temmuz 2021

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası